ს ე ს ხ ი ს ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

___.___.2024 ქ. _____

ფ/პ _____ _____ (პ/ნ _____), შემდეგში წოდებული როგორც - **„გამსესხებელი“**, ერთის მხრივ და **შპს** _____ (ს/ნ _____), წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ _____ (პ/ნ _____) სახით, შემდეგში წოდებული როგორც - **„მსესხებელი“**, მეორეს მხრივ, ვთანხმდებით და ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში - **„ხელშეკრულება“**) შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. წინამდებარე **„ხელშეკრულებით“** **„გამსესხებელმა“** **„მსესხებელს“** ასესხა _____ (_____) აშშ დოლარი;

1.2. **„მსესხებელი“** ვალდებულია მიღებული სესხის თანხა (_____ აშშ დოლარი) სრულად დაფაროს/დააბრუნოს (მ.შ. სესხის თანხის ნაწილ-ნაწილ გადახდის გზით) არაუგვიანეს _____ წლის _____ _____-მდე;

1.3. სესხის წლიური საპროცენტო სარგებელი (გადასახადების ჩათვლით) შეადგენს _____%-ს, რომელიც გაიანგარიშება **„მსესხებლის“** მიერ ფაქტობრივად გამოყენებული სესხის თანხების მიხედვით, გამოყენებული დღეების პროპორციულად;

1.4. სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაფარვის საბოლოო ვადაა - 202__ წლის _____ _____;

1.5. სესხზე დარიცხული ყოველთვიური პროცენტის გადახდა (გადასახდელ პროცენტზე დასაკავებელი 5%-იანი საშემოსავლო გადასახადის გამოკლებით) **„მსესხებლის“** მიერ ხორციელდება არაუგვიანეს საანგარიშო თვის შემდეგი თვის ___ რიცხვამდე ექვივალენტ თანხაში ლარში, გადახდის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური კურსის შესაბამისად;

1.6. სესხის პროცენტის გადახდისას **„მსესხებელი“** უზრუნველყოფს **„გამსესხებლისათვის“** გასაცემ პროცენტის თანხაზე საშემოსავლო გადასახადის დაკავებას და სახელმწიფო ბიუჯეტში მის გადახდას;

„გამსესხებელი“ _____ „მსესხებელი“ _____

1.7. **„მსესხებლის“** მიერ **„გამსესხებლისთვის“** სესხის ძირითადი თანხისა ან/და მასზე დარიცხული პროცენტის თანხების **„ხელშეკრულებით“** გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, **„გამსესხებელი“** უფლებამოსილია მოსთხოვოს **„მსესხებელს“** პირგასამტეხლო – გადასახდელი თანხის __%-ის ოდენობით თითო ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს **„მსესხებელს“** **„ხელშეკრულებით“** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

2. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი მოქმედების ვადა

2.1. **„ხელშეკრულება“** ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **„მხარეთა“** მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე;

2.2. **„ხელშეკრულების“** ვადამდე ადრე შეწყვეტა ან **„ხელშეკრულებაში“** ცვლილების შეტანა ხდება **„მხარეთა“** შეთანხმებით, წერილობითი ფორმით;

2.3. **„ხელშეკრულება“** შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითო-თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

„მსესხებელი“: შპს „_____“ (ს/ნ _____)

_____ /_____ _____ (პ/ნ _____), დირექტორი/

„მსესხებლის“ საბანკო რეკვიზიტები:

ბანკის დასახელება: ს/ს „_____“

მიმღების დასახელება: შპს „_____“

ანგარიშის N: _____.

„გამსესხებელი“: შპს „_____“ (ს/ნ _____)

_____ /_____ _____ (პ/ნ _____), დირექტორი/

„გამსესხებლის“ საბანკო რეკვიზიტები:

ბანკის დასახელება: ს/ს „_____“

მიმღების დასახელება: შპს „_____“

ანგარიშის N: _____.

„გამსესხებელი“ _____ „მსესხებელი“
_____